



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/41

ქ. თბილისი

9 ნოემბერი 2021

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-10 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) რეგლამენტის მე-9 მუხლის 9.1. პუნქტის, ქვემოთ აღნიშნული ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების შუამდგომლობების, სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 12 ოქტომბრის №0001079887 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 9 ნოემბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრებს ირინა გოცირიძეს სტუ-ის საერთაშორისო აკრედიტაციის ცენტრის დირექტორად დანიშვნის გამო და დავით გამეზარდაშვილს საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორის მოადგილედ დანიშვნის გამო შეუწყდეთ უფლებამოსილება;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრებად წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) უფლებამოსილების ვადით:
  - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტიდან – რომან სამხარაძე;
  - ენერგეტიკის ფაკულტეტიდან – ნანა ბერაძე;
  - ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრიდან – ნოდარ გრძელიშვილი;
  - ნავებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტიდან – მალხაზ ნიკოლაძე;
  - კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან – ელენე კალატოზიშვილი.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს  
სხდომის თავმჯდომარე,  
პროფესორი

*[Handwritten signature]*

დავით ჯაფარიძე